

ქ.დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლა

წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები

მე-5 კლასში

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

ეთერ ალადაშვილი

2018-2019

სარჩევი

შესავალი	3
საკვლევი საკითხის მიმოხილვა და კვლევის მიზანი.....	4
პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.....	5
კვლევის მიზანი.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა	6
კვლევის მეთოდოლოგია	16
კვლევის შედეგები-მონაცემთა ანალიზი	17
ინტერვენციები	22
ინტერვენციების დაგეგმვა	22
ინტერვენციების განხორციელება.....	25
ინტერვენციების შეფასება	25
ინტერვენციის შედეგები.....	26
რეკომენდაციები.....	26
დასკვნა	27
პრაქტიკული კვლევის ჩატარების გრაფიკი	28
დანართები.....	29
ბიბლიოგრაფია	39
რეფლექსია.....	40

შესავალი

მოგეხსენებათ, დაწყებით კლასებში სწავლების პირველ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ ადვილად შეძლოს სიტყვის დეკოდირება/ამოცნობა, ანუ წაკითხვა. ამავდროულად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ შემდეგ ეტაპზე მოსწავლეების გარკვეული ნაწილი, გაბმული კითხვის უნარის ჩამოყალიბების მიუხედავად, ვერ ახერხებს წაკითხულის გააზრებას, ანალიზს. დაწყებით საფეხურზე სწავლის მიზანია ძირითადი საკომუნიკაციო უნარების (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) განვითარება, ასევე მიზნობრივად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების წაკითხვისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება.

დაწყებით კლასებში გააზრებული კითხვის სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის. გააზრებული კითხვა დაეხმარება მას სწავლების შემდგომ საფეხურებზე გაუადვილდეს სხვადასხვა დისციპლინის აღქმა-გაგება-გააზრება.

მონაცემები კი სავალალოა. საქართველოში მოსწავლეთა 14%-ს წაკითხულის გააზრება არ შეუძლია. ეს არის PIRLS-ის კვლევის შედეგი.

„ეს, რა თქმა უნდა, საგანგაშო ციფრია“, – ასე შეფასდა საქართველოში მოსწავლეთა წაკითხულის გააზრების უნარის შემოწმების შემდეგ დადებული უახლესი შედეგები. PIRLS-ის (Progress in International Reading Literacy Study) კვლევა ჩვენს ქვეყანაში უკვე მესამედ ჩატარდა. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს, შეაფასოს 9-12 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე.

საქართველოში PIRLS-ის კვლევის ფარგლებში შერჩეული იყო 200 სკოლა და დაახლოებით 6 ათასამდე მოსწავლე. კვლევის მიხედვით, წაკითხულის გააზრებას ძალიან კარგად მოსწავლეთა მხოლოდ 2% ახერხებს. ეს გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე გაწაფულია კითხვაში, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია როგორც ლიტერატურული, ისე საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება, გააზრება და ანალიზი. საუბარია ასაკთან შესაფერის ტექსტებზე. კარგად კითხულობს მოსწავლეთა 22%, საშუალოდ-26%, კრიტიკულ ზღვარზეა-14%. PIRLS-ის კვლევებში სულ 60-მდე ქვეყანა და დაახლოებით 319 ათასი მოსწავლე მონაწილეობდა.

დღეს ეროვნული სასწავლო გეგმა დიდი გამოწვევების წინაშე გვყავნება. წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესში მოსწავლემ უნდა შეძლოს ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება და დასკვნების გამოტანა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, პერსონაჟების ხასიათისა და ქცევის მოტივის ამოცნობა გმირის ქმედებასა და მეტყველებაზე დაყრდნობით, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა, უკვე შეძენილ ცოდნასთან ახლის დაკავშირება, წარმოსახულისა და რეალურის ერთმანეთისგან გარჩევა, საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა, გარკვეული ენობრივი და მხატვრული საშუალებების შეფასება და ძირითად სათქმელთან დაკავშირება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება-გამრავალფეროვნება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვხვდებით, თუ რა დიდი მუშაობაა ჩასატარებელი ამ მხრივ.

რა მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს სკოლაში? აქაც იმავე პრობლემას ვაწყდებით. წლების განმავლობაში Vკლასთან მუშაობას ვიწყებ მოსწავლეთა კითხვისა და გააზრების უნარის შემოწმებით. შედეგი ხშირად არასახარბიელოა. მოსწავლეთა ძალიან მცირე ნაწილი კითხულობს კარგად, დიდ ნაწილს უჭირს კითხვა და არცთუ მცირე ნაწილს გაბმით კითხვა არ შეუძლია. რაც შეეხება ტექსტის გაგება-განალიზებას, კლასის ნახევარზე მეტი ვერ ახერხებს ამას.

არსებული პრობლემის გამოსასწორებლად მიზნად დავისახე, ჩავატარო საკუთარი პრაქტიკის კვლევა ამ კუთხით, რათა დავეხმარო მოსწავლეებს წაკითხულის გააზრების უნარის განვითარებაში.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და კვლევის მიზანი

მიმაჩნია, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეთა სასწავლო შედეგებს და მისი ანალიზიდან გამომდინარე გეგმავდეს ღონისძიებებს მათი მომავალი წარმატებისთვის. მასწავლებლის მიერ საკუთარ პრაქტიკასა და სამუშაო პროცესზე მუდმივი დაკვირვება და მისი კვლევა აუცილებელია სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად.

პრაქტიკაში ხშირად გვქონია შემთხვევები, რომ ბავშვი კარგად კითხულობს, ესმის ტექსტის შინაარსი, პასუხს სცემს შინაარსობრივ კითხვებს, მაგრამ უჭირს აზროვნება. აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ მას არ აქვს განვითარებული სააზროვნო უნარები. ამ პროცესს ის ფაქტი უფრო მეტად ართულებს, რომ ბევრ მოსწავლეს უჭირს გაწაფული კითხვაც. რა არის ამის გამომწვევი მიზეზი/მიზეზები? რა უნდა გავაკეთოთ ამ პრობლემის დასაძლევად? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დავიწყე კვლევა, რომლის მიზანიც წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესებაა მოსწავლეებში.

წარმოგიდგენთ სამიზნე ჯგუფის მოკლე აღწერას. მე-5 კლასში 12 მოსწავლეა. მათგან 3 ბავშვი გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, დანარჩენები კი დაბალი მოსწრების არიან. მოსწავლეები გაკვეთილზე ხშირად ცხადდებიან მოუმზადებელნი, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, არ არიან თავდაჯერებულნი, არიან პასიური მსმენელები, აქვთ დაბალი მოტივაცია, არ არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. უჭირთ კითხვა, შესაბამისად, ვერ გამოაქვთ წაკითხული ტექსტიდან აზრი და ვერც იმ თემებზე საუბარში ერთვებიან, რომლებსაც ვიხილავთ კლასში.

ჩემი აზრით, პრობლემის გამომწვევი მიზეზი სხვა მიზეზთა შორის არის ის, რომ მათთვის ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს გამართული კითხვა და ტექსტის აზრის გაგება, რაც მათ ყველანაირ მოტივაციას უხშობს, აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

აქედან გამომდინარე, კლასის საჭიროებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, დავგეგმე კვლევა, გამოვკვეთე პრობლემები, რათა დავებმარო მოსწავლეებს მათ წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაში. ამ მიზნის მისაღწევად გავეცანი შესაბამის ლიტერატურას და შევადგინე სამოქმედო გეგმა.

ვფიქრობ, ჩემ მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის შემდეგ დანერგილი მეთოდები მოსწავლეებს გაუადვილებს ამ პრობლემის დაძლევას, ისინი უფრო მეტ დროს დაუთმობენ კითხვას, შეიძენენ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებსაც გამოიყენებენ წაკითხულის ეფექტურად გაგება-გააზრებაში.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

წაკითხულის გაგება-გააზრების გამომწვევი მიზეზი მრავალია, მათ შორის გამოვყოფ რამდენიმეს.

- მოსწავლეებს უჭირთ კითხვა.
- კითხულობენ გაუაზრებლად, მექანიკურად.
- არ აქვთ მოტივაცია.
- არ აქვთ მდიდარი ლექსიკური მარაგი.
- მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი შვილების წიგნიერების დონის ამაღლებაში.

განვიხილავ თითოეულ მიზეზს ცალ-ცალკე.

ბევრ მოსწავლეს უჭირს გაბმით კითხვა. ისინი ჩერდებიან თითოეულ სიტყვასთან, ხშირად შეცდომით კითხულობენ სიტყვებს, კითხვის დროს არ აკეთებენ პაუზებს, ვერ კითხულობენ ინტონაციურად. კითხვა მოსწავლისთვის ხდება მტანჯველი, დამღლევი პროცესი. გასაკვირი არაა, რომ ასე კითხვით იგი ტექსტიდან აზრს ვერ გამოიტანს.

მოსწავლეთა ნაწილი კითხულობს გაუაზრებლად. იგი არ ფლობს კითხვის ეფექტურ მეთოდებს, ამიტომ არ იცის, რას მიაქციოს ყურადღება, რას დაუკვირდეს. შესაბამისად, ძნელია ტექსტის გაგება-გააზრება.

მოტივაცია ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რათა მოსწავლე ჩამოყალიბდეს კარგ მკითხველად. მას კითხვა სიამოვნებას ანიჭებს. სურს მეტ წარმატებას მიაღწიოს, მუდმივად იზრდება და შესაბამის შედეგებსაც აღწევს. მოტივაციის გარეშე მოსწავლის წარმატება შეუძლებელია.

მოსწავლეების უმეტესებას მწირი ლექსიკური მარაგი აქვს, რომლის გარეშე ჭირს ტექსტიდან აზრის გამოტანა. მოსწავლეებისთვის ბევრი სიტყვაა გაუგებარი, შესაბამისად, შეუძლებელია მისი გაგება-გააზრება.

დღეს სასკოლო ცხოვრებაში დიდი როლი ენიჭება მშობელთა ჩართულობას, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს შვილის წარმატებებს ადევნოს თვალი და თავადაც ჩაერთოს სასწავლო პროცესში, რაც უარყოფითად აისახება მათი შვილების აკადემიურ მოსწრებაზე.

კვლევის მიზანი

- დავადგინო, თუ რატომ ვერ ახერხებს მოსწავლეთა უმრავლესობა წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებას.
- განვსაზღვრო, თუ როგორ შეიძლება შევუწყო ხელი მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებას.
- დავგეგმო, განვახორციელო და შევაფასო შესაბამისი ინტერვენციები.

მინდა აღვნიშნო, რომ კვლევის პროცესში ჩართული სამიზნე ჯგუფი არ დგას არანაირი რისკის წინაშე, კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები ინფორმირებული არიან ჩვენი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. კვლევის ფარგლებში გამოყენებული პირადი მონაცემები იქნება მხოლოდ ზოგადი დასკვნების ფორმატში გაანალიზებული.

ლიტერატურის მიმოხილვა

წარმოგიდგინთ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც გაანალიზებულია მსგავს საკითხთან და პრობლემასთან დაკავშირებული გამოცდილება.

ირინა სამსონია მასწავლებლის წიგნში „წიგნიერება“ სვამს კითხვას:

- როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება?

ავტორი მიიჩნევს, რომ რაიმეს დასასწავლად თუ ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია, მკითხველს ჰქონდეს უნარი, გააზრებულად წაიკითხოს და დაიმახსოვროს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

ავტორი ჩამოთვლის კარგი მკითხველის მახასიათებლებს.

კარგი მკითხველი:

- აკვირდება საკუთარი კითხვის პროცესს.
- განიხილავს ტექსტს როგორც ავტორის, ისე საკუთარი პოზიციიდან.
- აკავშირებს ტექსტში ამოკითხულს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან.
- იყენებს ეფექტურ სტრატეგიებს კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და შემდეგ.
- იცის, რა მიზნით კითხულობს ტექსტს.

ჩამორჩენილი მკითხველის მახასიათებლები:

- ვერ აფიქსირებს ტექსტის იმ ადგილებს, რომელიც ვერ გაიგო.

- კითხვის პროცესში არ უსვამს საკუთარ თავს კითხვებს.
- არ გააჩნია საკუთარი ცოდნა, რათა გაიგოს წაკითხული.
- არ ფლობს კითხვის სტრატეგიებს.
- კარგად არ იცის, რატომ კითხულობს ტექსტს.
- ვერ აცნობიერებს, რაში სჭირდება კითხვა.

ი.სამსონია გვიჩვენებს, რომ კითხვის დაწყებამდე აუცილებელია წინარე ცოდნის აქტივაცია, რომელიც ერთგვარი ხიდია ნასწავლსა და შესასწავლ მასალას შორის. ჩამორჩენილი მოსწავლეები ამას ვერ ახერხებენ, ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას უმახვილებს სათაურზე, საკვანძო სიტყვებზე, მოსწავლეებს ავსებინებს ვარაუდების სქემებს. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ისევ უნდა დაუბრუნდეს კითხვის დაწყებამდე ჩატარებულ აქტივობებს და მოსწავლეებმა უნდა დაადასტურონ ან უარყონ გამოთქმული ვარაუდები, შეაჯამონ წაკითხული. საჭიროების შემთხვევაში, თუ მასწავლებელმა იცის, რომ მოსწავლეებს არ გააჩნიათ საკმარისი წინარე ცოდნა, თვითონ უნდა მიაწოდოს.

წაკითხულის გასააზრებლად ასევე სასარგებლოა გრაფიკული მათემატიკის გამოყენება, რაც დაეხმარება მოსწავლეს, თვალსაჩინოდ დაინახოს ტექსტი, ამოიცნოს და დაინახოს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ტექსტის გასაანალიზებლად სჭირდება. ამ სქემების გამოყენება საჭიროა კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსაც და კითხვის დასრულების შემდეგაც. წაკითხულის გააზრების ხელშეწყობით მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ კითხვის პროცესის კონტროლი. მოსწავლე უნდა დააკვირდეს, რისი გაგება გაუჭირდა, მოსწავლეები უნდა დაეუფლონ ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა, მაგალითად: ფაქტების წარმოსახვაში გაცოცხლება, თითოეული აბზაცის ან გარკვეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ შეჯამება, უცნობი ან რთულად გასაგები ლექსიკური ერთეულების ამოსაცნობად კონტექსტის, გრამატიკული ცოდნის, ლექსიკონის გამოყენება. მასწავლებელმა კითხვის პროცესში უნდა დასვას კითხვები და მოსწავლეებსაც უნდა ასწავლოს როგორც შინაარსობრივი, ასევე სააზროვნო კითხვების დასმა. წაკითხულის შესახებ დისკუსიის გამართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა.

ავტორის აზრით, წარმატებულ მკითხველად მოსწავლის ჩამოყალიბებისათვის უდიდესი როლი ენიჭება მოტივაციის გაზრდას. მკითხველი, რომელიც აქტიურად იყენებს კითხვის სტრატეგიებს, ნელ-ნელა ყალიბდება კარგ მკითხველად და მისი კითხვის მოტივაციაც იზრდება, რასაც ვერ ვიტყვით ჩამორჩენილ მკითხველზე, რომელიც ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას საზოგადოების ვერცერთ სფეროში. ამიტომ მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის გასაზრდელად საჭიროა ეფექტური გზებისა და მეთოდების ძიება. ამის მისაღწევად იყენებენ 4 ძირითად მიდგომას.

- კითხვის მიზნის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

- მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა.
- საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა.
- მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის წახალისება.

ირინა სამსონია პედაგოგებს ურჩევს იმ საკლასო აქტივობების გამოყენებას, რომლებიც ხელს შეუწყობს წაკითხულის გაგება-გააზრებას.

კითხვის დაწყებამდე

- 1.ვარაუდების ცხრილი;
- 2.თანამშრომლობითი სტრატეგიული კითხვის ქრონიკა;
- 3.ცნებათა კლასიფიკაცია;
- 4.სიტყვის რუკა;
- 5.ჩამოთვალე, დააჯგუფე, დაარქვი სახელი;
- 6.მოისმინე, წაიკითხე და იმსჯელე;
- 7.სწავლა მეწყვილესთან ერთად;
- 8.შესაძლო წინადადება;
- 9.ხმამალა ფიქრი;

კითხვის დროს გამოსაყენებელი აქტივობები

- 1.იდებათა რუკა;
- 2.ორმაგი ჩანაწერები;
- 3.გამოკითხვის ფურცელი;
- 4.ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები;
- 5.კითხვა წყვილებში;
- 6.აბზაცის შეკუმშვა/შემოკლება;
- 7.მთავარი, ნაკლებად მთავარი და მეორეხარისხოვანი;
- 8.კითხვის გზამკვლევი;
- 9.ორმხრივი სწავლება;
- 10.შერჩევითი მონიშვნა;
- 11.ამბის რუკა;

კითხვის შემდეგ გამოსაყენებელი აქტივობები

- 1.კლასში დასატოვებელი ბარათები;
- 2.ჩარჩოები;
- 3.კითხვები ავტორს;
- 4.კითხვა-პასუხი;
- 5.შევაჯამოთ წაკითხული;

ავტორი გვთავაზობს რამდენიმე აქტივობის ინსტრუქციას.

აქტივობა: ვარაუდების ცხრილი

ეს აქტივობა გამოიყენება კითხვისწინა ეტაპზე მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასააქტიურებლად და ახალი თემებისა და საკითხების მიმართ ინტერესის აღსამკვრელად. მოსწავლეები ფიქრობენ და თავიანთ წინასწარ დამოკიდებულებას გამოხატავენ წასაკითხი ტექსტის ძირითადი საკითხების შესახებ, ეთანხმებიან ან ეწინააღმდეგებიან მას. კითხვის დასრულების შემდეგ უბრუნდებიან ვარაუდების ცხრილს, რათა გადაამოწმონ საკუთარი შეხედულებები და შესწორება შეიტანონ მასში. ეს არის ჯგუფური აქტივობა, რომელიც კითხვის ინტერესს უღვივებს მოსწავლეებს.

კითხვის დაწყებამდე ვეთანხმები/არ ვეთანხმები	დებულება/კითხვა	კითხვის დასრულების შემდეგ ვეთანხმები/არ ვეთანხმები
	1	
	2	
	3	
	4	
	5	
	6	
	7	

აქტივობა: პირველი სტრიქონი

აქტივობა პირველი სტრიქონი იგეგმება კითხვისწინა ეტაპზე. ამ დროს მოსწავლეები კითხულობენ წასაკითხი ტექსტის მხოლოდ პირველ ორ ან სამ წინადადებას (რაოდენობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია წინადადებების სიგრძესა და შინაარსობრივ დათვირთულობაზე) და ცდილობენ ამოიცნონ, როგორ გაგრძელდება ტექსტი, როგორ განვითარდება შინაარსი. ამით მოსწავლე კითხვის აქტიური მონაწილე ხდება, იხსენებს ყველაფერს თემის შესახებ, ერთვება დისკუსიაში, უვითარდება წერის უნარი, თავის ნააზრევს წერილობით აყალიბებს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ მონიშნოს ან ასლებიდან ამოჭრას

ტექსტის ეს ნაწილი და დაურიგოს ზავშვებს. აუცილებელია, რომ გამოთქმული ვარაუდი ემყარებოდეს იმ ინფორმაციას, რომელსაც წასაკითხი წინადადებები გვაწვდის.

გთავაზობთ ნიმუშს:

სახელი-----

სათაური-----

პირველი სტრიქონი
ვარაუდი
დასაბუთება/ახსნა
შესწორებები

აქტივობა: გმირის რუკა

„გმირის რუკა“ ეფექტური მეთოდია თხრობითი ხასიათის ტექსტის გაგებისა და ანალიზისთვის. გმირის რუკის შედგენისას მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ავსებენ სქემის გრაფებს. ასახელებენ რომელიმე პერსონაჟს, მსჯელობენ, თუ რას ფიქრობს, მოქმედებს, გრძნობს მოთხრობის გმირი, რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას, გამოთქვამენ საკუთარ ვარაუდებს. მოსწავლეები დაახასიათებენ და შეაფასებენ გმირის საქციელს ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით.

გმირი_____

ფიქრობს_____

აკეთებს_____

ამბობს_____

გრძნობს_____

გმირის მიზანი_____

მოქმედებები -----

შედეგი_____

აქტივობა: ამბის რუკა

„ამბის რუკა“ კარგი საშუალებაა მოთხოვნის ეფექტური აღქმისა და ანალიზისთვის. სქემის შევსება შეიძლება როგორც კითხვის პროცესში, ასევე ტექსტის ბოლომდე წაკითხვის შემდეგ. მოსწავლეები გამოყოფენ პერსონაჟებს, გარემოებებს, მოვლენათა თანმიმდევრობას. ამ მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები გამოიტანენ დასკვნებს ტექსტის კითხვის დროს და მიუთითებენ შესაბამის დასაბუთებას ტექსტში, მოახდენენ მოვლენათა თანმიმდევრობის განსაზღვრას და შეჯამებას.

სათაური: _____
პერსონაჟები: _____
გარემოებები: _____
პრობლემა: _____
მოვლენა1: _____
მოვლენა2: _____
მოვლენა3: _____
შეჯამება: _____

როგორც G-PRIED სასწავლო მეთოდოლოგიური რესურსების კრებულში „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ ვკითხულობთ, პატარა მკითხველები სწრაფად ვერ ეუფლებიან გაგება-გააზრების უნარს. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებას განსხვავებული სტრატეგიები მიესადაგება. გაგება-გააზრებაზე ოთხი ფაქტორი მოქმედებს:

1. **მკითხველი**, რომელიც ჩართულია გაგება-გააზრების პროცესში.
2. **ტექსტი**, საკითხავი მასალა, რომელსაც იაზრებს მკითხველი.
3. **მიზანი**, რომელიც გულისხმობს ამოცანას, რომლის შესრულებასაც ცდილობს მკითხველი სხვადასხვა სტრატეგიით.
4. **კონტექსტი**, რომელიც არის იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომელშიც მიმდინარეობს კითხვის პროცესი.

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი რიგ სირთულეებს აწყდება წაკითხულის გააზრებაში, ამისთვის საჭიროა შევიმუშავოთ სწორი სტრატეგიები მათ აღმოსაფხვრელად.

კარგი მკითხველის უნარ-ჩვევები და სტრატეგიები:

- **მონიშვნები და ჩანაწერები.** კითხვის დროს აღნიშვნების გაკეთება საინტერესო, გაუგებარ, საკვანძო სიტყვებზე, წინადადებებსა და აბზაცებზე.
- **კავშირები ტექსტში.** კითხვის დროს და წაკითხვის შემდეგ გაცნობიერება, თუ რა კავშირია ტექსტსა და საკუთარ გამოცდილებას შორის, ასევე სხვა ტექსტებსა და გარე სამყაროსთან.
- **ვიზუალიზაცია.** კითხვისას პერსონაჟების, მოვლენების, საგნების და მიმართებების მკაფიოდ წარმოდგენა.

- **შეკითხვების დასმა.** შეკითხვების დასმა საკუთარი თავისა და ავტორისადმი კითხვის სამივე ფაზაზე.
- **ხელმეორედ წაკითხვა.** ტექსტთან მიბრუნება ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად და წამოჭრილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.
- **ტექსტის ნაწილებად დაყოფა.** ტექსტის აბზაცებად დაყოფა და დაფიქრება წაკითხულ მონაკვეთზე.
- **„სამი დათვი“ პრინციპი (ადეკვატური ტექსტების შერჩევა).** ტექსტი არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან მარტივი. ერთ გვერდზე არ უნდა იყოს ხუთზე მეტი გაუგებარი სიტყვა. ტექსტის შინაარსი კი მთლიანობაში გასაგები უნდა იყოს.
- **კითხვა მეწყვილესთან ერთად.** მეწყვილესთან ერთად ხმამაღლა კითხვა. ყოველი აბზაცის შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ და აჯამებენ წაკითხულს.
- **დღიურის წარმოება.** კითხვის პროცესში სპეციალური ჩანაწერების გაკეთება დღიურში. საკუთარი შთაბეჭდილების გაზიარება სხვებთან.
- **ონლაინ კომუნიკაცია წაკითხულის შესახებ.** საკუთარი ჩანაწერებისა და შთაბეჭდილების განთავსება ინტერნეტსივრცეში და მონაწილეობის მიღება ონლაინ განხილვებში.
- **გრაფიკული სქემები.** გრაფიკული სქემებისა და ცხრილების გამოყენება ტექსტის გააზრებისა და საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის.

გაგება-გააზრების სტრატეგია არის ნაბიჯების განსაზღვრული თანმიმდევრობა, რომელსაც კარგი მკითხველი შეგნებულად იყენებს ტექსტიდან აზრის გამოსატანად. სტრატეგიების სწავლება ეხმარება მოსწავლეს ჩამოყალიბდეს აქტიურ, მიზანზე ორიენტირებულ მკითხველად, რომელიც კითხვის დროს აკონტროლებს იმას, თუ რა და როგორ გაიგო.

ავტორები წარმოადგენენ სტრატეგიების ნუსხას, რომლებიც გაგება-გააზრებას საგრძნობლად აუმჯობესებს.

- **წინარე ცოდნის გააქტიურება.** მკითხველი იხსენებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას მიზანთან ან დავალებასთან დაკავშირებით.
- **ვარაუდების გამოთქმა.** მკითხველი წარმოიდგენს მოსალოდნელ მოვლენებს.
- **ტექსტის სტრუქტურის დადგენა.** მკითხველი დააკვირდება და ამოიცნობს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს და ჟანრობრივ მახასიათებლებს.
- **წარმოსახვა/ვიზუალიზება.** მკითხველი წარმოსახვაში აცოცხლებს, გონებაში წარმოიდგენს მოვლენებს, მოქმედებებს, გმირებს.
- **შეჯამება და აზრის გამოკვეთა.** მკითხველი გამოკვეთს ძირითად აზრს, ერთმანეთს უკავშირებს საკვანძო იდეებს.
- **ჩაწვდომა/მიხედვრა.** მკითხველი მიაგნებს მოვლენების მიზეზებს და შედეგებს.
- **თვითმონიტორინგი.** მკითხველი აკვირდება თუ რა ესმის კარგად და რა არა. თუ რამეს ვერ იგებს, სწრაფად შეარჩევს საჭირო სტრატეგიებს მიზნის მისაღწევად.

ავტორების რჩევით, მასწავლებელმა შემდეგნაირად უნდა დააუფლოს სტრატეგიებს მოსწავლეები.

- **პირდაპირი ახსნა.** მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რატომ უწყობს ხელს მოცემული სტრატეგია ტექსტის გააზრებაში.

- **მოდელირება.** მასწავლებელი დემონსტრირების გზით უჩვენებს მოსწავლეებს, თუ როგორ ვიყენებთ მოცემულ სტრატეგიას.
- **მართული პრაქტიკა/ვარჯიში.** მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს პრაქტიკულად როგორ გამოიყენონ და დაეუფლონ სტრატეგიას.
- **გამოყენება.** მასწავლებელი ახალისებს მოსწავლეებს, როცა ისინი დამოუკიდებლად იყენებენ სტრატეგიებს.

ყოველივე ამის გამოყენებით მოსწავლე აღიჭურვება იმ გამოცდილებით, რომლის ათვისებითაც შეძლებს ტექტის უკეთ წაკითხვა-გააზრებას.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით გავეცანი კრებულს „ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება“. მასში ავტორები საუბრობენ XXI საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ უნარზე, კრიტიკულ აზროვნებაზე. ამ უნარის დაუფლება მოსწავლეებს ასწავლის უკეთ ჩამოაყალიბონ და დაასაბუთონ საკუთარი აზრი, შეიგრძნონ ინტელექტუალური თავისუფლება, სიამოვნება მიიღონ სწავლით, უკეთ დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება და ემსახურონ საზოგადოებას. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება არის ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ ვიცხოვროთ უფრო სამართლიან და დემოკრატიულ საზოგადოებაში. მსოფლიოს წარმატებულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კრიტიკული აზროვნება ცალკე საგნად ისწავლება, თუმცა მისი ასე სწავლება მიიჩნევა ნაკლებეფექტურად, რადგან იგი კონკრეტულ კონტექსტს არის მიბმული.

სასურველი და აუცილებელიცაა, რომ სკოლაში ყველა მასწავლებელმა მიზნად დაისახოს მოსწავლეებში კრიტიკული უნარის განვითარება. ამაში მას ხელი უნდა შეუწყოს სკოლამ, სასწავლო მასალებმა, სასკოლო კულტურამ. მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, გამოიჩინონ ინიციატივა, მოიძიონ ახალი მასალები, წახალისებული უნდა იყოს პოზიტიური რისკები. შესაძლოა სირთულეებსაც წავაწყდეთ, თუმცა მხოლოდ ასეთ შემთხვევებშია შესაძლებელი რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს.

მაია ფირჩხაძე ჟურნალ მასწავლებელში გამოქვეყნებულ სტატიაში „მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების პრაქტიკული ასპექტები“ წერს საკუთარი ხედვის შესახებ ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი გვამღევეს რჩევებს, როგორ გადავაქციოთ სწავლა სახალისო პროცესად. რა რეალური მექანიზმებია საჭირო იმისათვის, რომ კლასში შეიქმნას ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება განუვითარდეთ დამოუკიდებელი აზროვნება. ესაა მიზანზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

დამოუკიდებელი აზროვნება მიმართულია იმ საკითხების გადაწყვეტისკენ, რომელშიც დარწმუნებული ვართ და რისი გაკეთებაც გვინდა. მართალია, ასეთი აზროვნება არ არის შეცდომებისგან დაზღვეული, მაგრამ ამან შეიძლება საოცარ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანოს, ამიტომ აზროვნების ამგვარი ფორმების ათვისება აუცილებელია და იგი მოსწავლის პროგრესის განუყოფელი ნაწილია. როდესაც

მოსწავლეს ცხოვრებისთვის გამზადებთ და მიზნების დასახვაში ვეხმარებით, ისიც უნდა ვასწავლოთ, როგორ გადადგას განსაკუთრებული ნაბიჯები, როგორ შეძლოს პრაქტიკულ ცხოვრებაში „ტრადიციული სიბრძნისგან“ გადახვევა და აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება.

დამოუკიდებელი აზროვნების ხელშეწყობით მოსწავლე თავისუფლდება სტერეოტიპებისგან, გზას უხსნის ახალ იდეებს. რაც მთავარია, ასეთ დროს წარმოშობილი მოსაზრებები კონკრეტული მოსწავლის კუთვნილებაა და არა საინფორმაციო წყაროდან მიღებული ცოდნა. ამიტომ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა პედაგოგიური საქმიანობის მნიშვნელოვანი მისიაა და მოსწავლეთა დიდ დაინტერესებასა და შემოქმედებით აქტივობას იწვევს.

კრებულში „კითხვის ეფექტური მეთოდები“ საუბარია, რომ კითხვის ძირითადი მიზანი წაკითხულის გაგება, შინაარსის გააზრება, მასში გადმოცემული აზრის მნიშვნელობის კონსტრუირება და მიღებული ინფორმაციის შეფასებაა. ამ მიზნის მისაღწევად ეფექტურია ორიენტირებული მოსმენისა და აზროვნების მეთოდი. იგი წარმართება ხმამაღლა კითხვის აქტივობით. მოსწავლეთათვის უფროსების მიერ ხმამაღლა კითხვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენს კითხვაში წარმატების მისაღწევად. „აქტივობა მოზარდს საშუალებას აძლევს კითხვით მიღებული სიხარული განიცადოს და დარწმუნდეს, რომ კითხვა სასიამოვნო საქმიანობაა და არა მტანჯავი და მოსაწყენი.“ (ჯიმ ტრელიზი, „ახალი სახელმძღვანელო ხმამაღლა კითხვისთვის“(1982)

ხმამაღლა კითხვას ბევრი დადებითი მხარე აქვს:

- ავითარებს კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევებს.
- აუმჯობესებს მოსმენის უნარსა და ხარისხს.
- ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს.
- აღვიძებს ცნობისმოყვარეობასა და შთაგონებას.
- იღებს გამოცდილებას.

მეთოდი ხელს უწყობს შემდეგი სააზროვნო, საკომუნიკაციო და კვლევითი უნარების განვითარებას.

- მეტყველება, წარმოსახვა, თავისუფალი მსჯელობა.
- საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციების ამოცნობა და გამოხატვა.
- არჩევანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა.

მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- გამოხატონ საკუთარი აზრი.
- შეიძინონ თავდაჯერებულობა მეტყველებისას, რათა გახდნენ წარმატებული მოსაუბრენი.
- გახდნენ ყურადღებიანი მსმენელები და დამოუკიდებელი მკითხველები.

ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლე გამოცდილებაზე დაყრდნობით ახდენს. ამ დროს იგი არა მარტო ახალ ცოდნას იძენს, არამედ ძველ ცოდნასაც ამუშავებს. დაწყებით საფეხურზეც აქვთ მოსწავლეებს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ დამოუკიდებლად იფიქრონ, შეაფასონ, გადაჭრან პრობლემა, შეძლონ საკუთარი პოზიცია არგუმენტებით გაამყარონ.

მეთოდი გულისხმობს მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტზე მუშაობას, რაც მოსწავლეს ეხმარება, ორიენტირებული იყოს აქტიური მოსმენისა და აზროვნების პროცესზე, განსაზღვროს კითხვის მიზანი, ამოიცნოს, გააცნობიეროს, შეისწავლოს და შეაფასოს მოცემული ინფორმაცია. ეს ყოველივე აუმჯობესებს წაკითხულის გააზრებას და ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ჩასატარებელი სამუშაოს მიზანი და გეგმა, კერძოდ:

- რა ტექსტს შეარჩევს წასაკითხად.
- რა უნდა ასწავლოს ამ ტექსტის დახმარებით.
- რა კავშირი უნდა დამყარდეს მოცემულ ტექსტსა და არსებულ ცოდნას შორის.
- როგორ უნდა გამოიყენოს ტექსტი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარ-ჩვევის განვითარებას.
- მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას გულდია, უსაფრთხო გარემო, თანამშრომლობის ატმოსფერო, სადაც ყველას აზრი საინტერესო და მისაღებია, სადაც ერთმანეთისგან სწავლობენ და მთავარია საქმის კეთება. მასწავლებელი უნდა იყოს აქტიური მსმენელი. მან კითხვები უნდა დასვას, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს სიტუაციაში გარკვევაში, მისცეს „სწორი გეზი“. მასწავლებელმა უნდა მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება, კითხვის დროს ცვალოს ინტონაცია, ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა გამომხმაურებას წაკითხულის შესახებ.

ტექსტის წაკითხვამდე სასურველია მოსწავლეთა გამოწვევა, წინარე ცოდნის გააქტიურება „გონებრივი იერიშით“ ან სხვა მეთოდით, ეს ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციას. წინმსწრები აქტივობების მეშვეობით მასწავლებელი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაააქტიურონ წინარე ცოდნა და წარმოდგენა შეიქმნან შესასწავლი მასალის შესახებ. ამით იქმნება ერთგვარი ხარაჩო ახალი მასალის დასაშენებლად.

მასწავლებელი ტექსტს ყოფს ნაწილებად, რომლებსაც წყვეტს საკვანძო საკითხებთან, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ ვარაუდების გამოთქმა. წაკითხულის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს: გამართლდა თუ არა თქვენი ვარაუდი? შეცვალეთ თუ არა თქვენი დამოკიდებულება და მოსაზრება? როგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ? როგორ განვითარდება მოვლენები? რატომ ფიქრობთ ასე? ელოდით ასეთ გაგრძელებას?

შინაარსის რეალიზების ფაზაზე მასწავლებლის უპირველესი ამოცანა გამოწვევის ფაზაზე გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნებაა. მოსწავლეები ამ დროს ძველ და ახალ ცოდნაზე დამყარებულ ახალ გააზრებამდე მიდიან. მასწავლებელი კი ხელს უწყობს მათ აღქმა-გაგებას. მუშაობის დროს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. უცხო სიტყვების და ფრაზების გაგებას და გამოყენებას.

რეფლექსიის ფაზაზე მასწავლებელი მოსწავლეებს უნდა დაეხმაროს წაკითხულის გააზრებასა და შეჯამებაში. ამისთვის უნდა დაისვას ისეთი კითხვები, რომლების სიღრმისეულ წვდომას ამოწმებს. საჭიროა მოსწავლეებს მივცეთ დრო პასუხების გასაცემად. ამ დროს სასურველია ბლუმის ტაქსონომიის მაღალი სააზროვნო უნარების შესაფერისი კითხვების დასმაც.

საჭირო ლიტერატურის გაცნობამ დამარწმუნა, თუ რა მნიშვნელოვანია ჩემ მიერ არჩეული საკვლევი თემა. ვფიქრობ, მიღებული მეთოდური რეკომენდაციების გამოყენება დამეხმარება კვლევის შედეგად დადგენილი პრობლემების მოგვარებაში, მეთოდებისა და ინტერვენციების დაგეგმვაში.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი თემიდან გამომდინარე, თავდაპირველად შევისწავლე სამიზნე ჯგუფის საჭიროებები, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და შესაძლებლობები.

შევარჩიე კვლევის მეთოდები. მონაცემთა შეგროვება და მისი ანალიზი კვლევის წარმატებით განსახორციელებლად მეტად მნიშვნელოვანია. ბოლოს შევაფასე განხორციელებული ინტერვენციების შედეგები და ეფექტურობა.

საკითხის შესასწავლად გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევისთვის გამოვიყენე აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილზე და ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. ხოლო რაოდენობრივი კვლევისთვის გამოვიყენე სადიაგნოსტიკო ტესტირება ღია და დახურული კითხვებით.

კვლევის დასაწყისში გამოვიყენე აღწერითი დაკვირვება, რომელიც დამეხმარა ზოგადი მდგომარეობის დადგენაში წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით.

ფოკუსირებული დაკვირვების დროს წინასწარ შედგენილი კრიტერიუმით დავაკვირდი მოსწავლეთა სამუშაო პროცესს, რათა დამედგინა მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზი და დასკვნების საფუძველზე დამესახა გზები ამ სირთულეების დასაძლევად. ამ მიზნით ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება (იხ.დანართი 4), რითაც დავადგინე, თუ როგორ კითხულობენ ტექსტს მოსწავლეები, იგებენ თუ არა შინაარსს, სიტყვების მნიშვნელობას, შეუძლიათ თუ არა მსჯელობა წაკითხულთან დაკავშირებით.

შევიმუშავე კითხვარები მე-5 კლასის მოსწავლეებისთვის(იხ.დანართი 1), მშობლებისა (იხ.დანართი 2) და მასწავლებლებისთვის (იხ.დანართი 3).



გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12-მა მოსწავლემ. გულახდილობისა და დაცულობისათვის მოსწავლეებს განვუმარტე, რომ გამოკითხვა იქნებოდა ანონიმური, იქნებოდა დახურული, არჩევითპასუხიანი კითხვები.

კითხვარი შევადგინე დაწყებითი კლასების (I-VI) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისთვის. გამოვიყენე ღია და დახურული კითხვები. კითხვარმა საშუალება მომცა, გამეგო ჩემი კოლეგების აზრი ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ჰქონდათ თუ არა მათ კლასებში ამგვარი პრობლემა და როგორ აგვარებდნენ მას.


მშობლებს ანკეტები გავატანე სახლში და ვთხოვე გულწრფელად გაეცათ მასზე პასუხები, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ მათმა შვილებმა წარმატებას მიაღწიონ.

კვლევის შედეგები-მონაცემთა ანალიზი

ანკეტირების შედეგები კვლევისთვის მეტად მნიშვნელოვან კითხვებზე წარმოდგენილი მაქვს დიაგრამების სახით, რაც კარგად აღწერს გამოკითხვის შედეგებს.




მხატვრულ ნაწარმოებს ვკითხულობ




■ მასწავლებლის დავალებით ■ ჩემი სურვილით ■ შშობლის დავალებით

რაში მეხმარება კითხვა?




მშობელთა გამოკითხვა

უკითხავთ თუ არა თქვენს შვილებს წიგნებს?




მასწავლებელთა გამოკითხვა

არის თუ არა სახელმძღვანელო იმ პრინციპით შერჩეული, რომ მოსწავლეებისთვის იყოს საინტერესო?



როგორია მოსწავლეთა ჩართულობისა და აქტიურობის ხარისხი გაგება-გააზრების დროს?



ტესტირებების შედეგებმა ნათლად დამანახვა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა დამოკიდებულება საკვლევი თემის შესახებ და ნათელი გახდა ის სირთულეები, რომლებიც თავს იჩენს წაკითხულის გაგება-გააზრების დროს.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს- 8 -ს უჭირს კითხვა, ისინი ვერ იგებენ ტექსტს მათთვის გაუგებარი სიტყვების გამო, ნაკლებად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, უპირატესობას ანიჭებენ ზღაპრებს და მარტივი ტიპის ტექსტებს, რომ არ უყვართ და ვერ ხედავენ საინფორმაციო სახის ტექსტების კითხვის აუცილებლობას. მეტ ნაწილს მიაჩნია, რომ კითხვა მხოლოდ აკადემიური წარმატების მისაღწევად სჭირდება.

მშობელთა გამოკითხვისას ნათელი გახდა, რომ ისინი ხშირად არ ეხმარებიან შვილებს გაკვეთილების მომზადებისას, ვერ უკითხავენ ხშირად წიგნებს, ვერ ყიდულობენ მათთვის მხატვრულ ლიტერატურას, არ საუბრობენ შვილებთან წაკითხული წიგნის შთაბეჭდილებებზე.

მასწავლებელთა ანკეტირებისას ცხადი გახდა, რომ მათ მოსწავლეებსაც ამ ტიპის სირთულეები აქვთ წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით. ისინი არ არიან კმაყოფილი სახელმძღვანელოებით, ხშირად ვერ ან არ იყენებენ აქტივობებს პრობლემების დასაძლევად. მოსწავლეთა აქტიურობა და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში დამაკმაყოფილებელი არ არის. მათ ანკეტირებისას გამიზიარეს თავიანთი შეხედულებები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით

ინტერვენციები

ინტერვენციების დაგეგმვა

პრაქტიკული კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, წარმოვადგენ და აღვწერ წაკითხულის გაგება-გააზრების პრობლემების დაძლევისთვის შემუშავებულ ინტერვენციებს, რომლებსაც განვახორციელებ სასწავლო პროცესში.

1. წაკითხულის გაგება-გაანალიზების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არის შესაძლებელი, თუ დავწერგავ ახალ მეთოდებს და მოსწავლეებს მიზანმიმართულად ვასწავლი:

- გაგების მონიტორინგს;
- პარაგრაფში ძირითადი აზრის პოვნას;
- კითხვის სამივე ეტაპზე შეკითხვების დასმას;
- დასკვნების გამოტანასა და ტექსტის ნაწილების დაკავშირებას;
- ძირითადი ინფორმაციის თხრობას;
- ტექსტის ძირითადი პუნქტების შეჯამებას;

2. წინარე ცოდნის აქტივაცია.

წინარე ცოდნის აქტივაციას დიდი მნიშვნელობა აქვს წაკითხულის გაგება - გააზრებისას. ის არის ინფორმაცია, რომელსაც ფლობს მოსწავლე იმ საკითხთან თუ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ეხება წასაკითხი ტექსტი. წინარე ცოდნის აქტივაციით მოსწავლე ახერხებს დაკავშიროს არსებული ცოდნა შესასწავლ მასალასთან, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება მას ახალი ინფორმაციის გაგებასა და დამუშავებაში. ჩამორჩენილი მოსწავლეების პრობლემა კი სწორედ ის არის, რომ ისინი არ ფლობენ საკმარის წინარე ცოდნას და, შესაბამისად, ვერ აკავშირებენ ერთმანეთთან ნასწავლსა და შესასწავლს. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი მეთოდები და მიდგომები.

მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის გასააქტიურებლად იყენებს სათაურს, მოსწავლეებთან ერთად ეძებს საკვანძო სიტყვებს და საუბრობს მათ მნიშვნელობაზე, მოსწავლეებს სთავაზობს ვარაუდების ცხრილის შევსებას, ეკითხება მათ, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი, რა შეიძლება იყოს მისი მთავარი თემა. მიუხედავად იმისა, რომ კითხვის ამ ეტაპზე მოსწავლეთა აქტიურობა გადამწყვეტია, სასურველია, რომ მასწავლებელმა წინასწარ დაგეგმოს ამ ტიპის აქტივობები და მართოს პროცესი, დააკვირდეს, სწორ შინაარსობრივ კავშირებს ამყარებენ მოსწავლეები თუ არა ცოდნასა და წასაკითხ ტექსტს შორის. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უნდა დაუბრუნდეს კითხვის დაწყებამდე ჩატარებულ აქტივობას და მოსწავლეებმა დაადასტურონ, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყონ გამოთქმული ვარაუდები, იმსჯელონ და შეაჯამონ წაკითხული. საჭიროების შემთხვევაში, თუ მასწავლებელი

ექვობს, რომ მოსწავლეები არ ფლობენ საკმარის ცოდნას, მან თავად უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მათ დაეხმარება ტექსტის გაგებაში. ეს შეიძლება იყოს ისტორიული ხასიათის კონტექსტი ან სპეციალური ტერმინები.

3. წაკითხულის გასააზრებლად საჭიროა აგრეთვე გრაფიკული მათემატიკის გამოყენება.

იგი ეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს, სისტემურად დაინახოს და დაიმახსოვროს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებიც ტექსტის დასამუშავებლად და გასააზრებლად სჭირდება. გრაფიკული გამოსახვა საჭიროა კითხვის პროცესშიც, რადგან მოსწავლეები ვიზუალური თვალსაჩინოების საშუალებით უფრო ადვილად დაინახავენ კავშირებს ტექსტში ასახულ მოვლენებს, ფაქტებს და მოსაზრებებს შორის, ამის ქრონოლოგიას, აღმოაჩინენ და დაინახავენ მნიშვნელოვან დეტალებს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ გრაფიკულ მათემატიკას იყენებენ მასში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამების მიზნით. მისი საშუალებით მოსწავლეები ახერხებენ ტექსტში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრას.

4. მეტაკოგნიცია

წაკითხულის გააზრების ხელშეწყობის მიზნით მეტაკოგნიცია მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეებს ვასწავლოთ საკუთარი კითხვის პროცესის კონტროლი. მოსწავლე უნდა დაუკვირდეს, რისი გაგება გაუჭირდა და გამოიყენოს მისი დასაძლევ სტრატეგიები.

5. კითხვების დასმა

წაკითხულის სრულყოფილად გასააზრებლად ასევე სასარგებლოა, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კითხვების დასმა წაკითხულის შესახებ და ამასთანავე შეძლონ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს ის, რომ თავად დასვან სხვადასხვა სირთულის კითხვები. კითხვები უნდა იყოს არა მარტო შინაარსობრივი, არამედ სააზროვნოც.

6. მოტივაციის

წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მოტივაცია. მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნებას ანიჭებს. ამიტომ იგი დროთა განმავლობაში სულ უფრო კარგად ეუფლება და თავისუფლად იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს, შესაბამისად, კარგად იაზრებს წაკითხულს. ჩამორჩენილი მკითხველის პრობლემა კი სწორედ მოტივაციის ნაკლებობაა. ისინი ვერ ფლობენ კითხვის ეფექტურ სტრატეგიებს, აქვთ მწირი ლექსიკური მარაგი. ვერ იაზრებენ ტექსტს.

როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია? ამისთვის საჭიროა:

6.1. კითხვის მიზნის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით;

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხავი მასალის შერჩევისას მისი ძირითადი მიზანი იყოს თავად ტექსტის შინაარსობრივი მხარე, მოსწავლე უფრო ხალისით წაიკითხავს ისეთ ტექსტს, რომელიც მისთვის საინტერესო იქნება. თუ კითხვა მისთვის მხოლოდ ვალდებულებაა და მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დავალებების და

სავარჯიშოების შესრულება, ბუნებრივია, მისი მოტივაცია კლებულობს. კითხვის პროცესს უპირატესად საგანმანათლებლო, შემეცნებითი მიზანი უნდა ჰქონდეს.

6.2. მოსწავლეთა არჩევანის პატივისცემა

თუკი მოსწავლეს საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს საკითხავი მასალის შერჩევაში, თავად აირჩიოს საკუთარი როლი ჯგუფურ თუ წყვილურ აქტივობებში, აუცილებლად გაიზრდება მისი მოტივაცია. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლის სურვილსაც, რომელ თანაკლასელთან უნდა აქტივობებში მონაწილეობა, რა ტიპის პროდუქტი უნდა რომ შექმნას (თხზულება, ჩანახატი თუ პოსტერი) და სხვა.

6.3 .საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა

მოსწავლეებს ეხალისებათ ისეთი ტექსტების კითხვა, რომლებიც მათ ინტერესს აღძრავს. ცნობილია, რომ რაც უფრო საინტერესოა ტექსტი, მით უფრო იზრდება მკითხველის მოტივაცია და წაკითხულის გააზრების ხარისხიც. მოსწავლეს დაინტერესებს ისეთი ტექსტი, რომელზეც გააჩნია გარკვეული წარმოდგენა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა თავი აარიდოს ახალი მასალის შეტანას, მაგრამ მას სიფრთხილე მართებს, რომ სრულიად უცნობი თემების შეთავაზებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მოსწავლეთა მოტივაციაზე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ მოსწავლეები მეტი ინტერესით კითხულობენ ვიზუალურად მიმზიდველ ტექსტებს, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს ილუსტრაციებისა და თვალსაჩინოების ხარისხს, შრიფტის ზომას.

6.4 . მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის წახალისება

გამოცდილებამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს აინტერესებთ ერთმანეთთან ურთიერთობა, სოციალური ინტერაქცია, თანამშრომლობა. ეს მეტად სასარგებლოა, განსაკუთრებით ჩამორჩენილი მოსწავლეებისთვის, სასურველია, მასწავლებელმა ხშირად დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთად წაიკითხავენ ტექსტს, გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას, შეხედულებებსა და მოსაზრებებს, დაეხმარებიან ერთმანეთს რთული ადგილების გაგებაში.

7.წიგნიერი გარემოს შექმნა

წიგნიერების ხელშეწყობისთვის აუცილებელია საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა. წიგნები შეირჩევა ასაკის გათვალისწინებით, რათა კითხვა იყოს სახალისო, საინტერესო და მიმზიდველი. სასურველია შერჩეული წიგნები ყველა მოაწავლემ წაიკითხოს. თვეში ერთხელ მოეწყობა წაკითხული წიგნის გარჩევის დღე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა მოსწავლე. ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ შთაბეჭდილებებს.

7. სისტემატური და მკაფიო უკუკავშირი

მუშაობის პროცეში ჩართულობისა და შესრულებული დავალების გაუმჯობესებისათვის მოსწავლეებმა უნდა შეავსონ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარები, რომელთა ანალიზი მუდმივად მომცემს პრობლემების გამოვლენის და მათი დაძლევის საშუალებას.

ინტერვენციების განხორციელება


დავიწყე ინტერვენციების განხორციელება მე-5 კლასში. ინტერვენციით გათვალისწინებულ ყველა აქტივობას, მეთოდს ვიყენებდი იმისათვის, რომ მოსწავლეებში პროგრესი დამენახა. დავგეგმე თითოეული გაკვეთილი ისე, რომ ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებას მოვარგე თითოეული აქტივობა. თავდაპირველად მოსწავლეები მეტნაკლები ხალისით ჩაერთვნენ პროცესში. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ წინსვლა თვალშისაცემი იყო. აქტივობებით და რესურსებით გამრავალფეროვნებული გაკვეთილები მოსწავლეებისთვის გაცილებით მიმზიდველი გახდა. გახდნენ უფრო აქტიურნი, თამამები, გაუჩნდათ მეტი ინტერესი. გაუჩნდათ მოტივაცია, დაიწყეს წიგნების კითხვა, ერთმანეთთან დაიწყეს თანამშრომლობა.

ინტერვენციებმა გამოიწვია დადებითი ცვლილებები. შედეგი ეფექტური აღმოჩნდა.

ინტერვენციების შეფასება

პედაგოგიური პრაქტიკის დასკვნით ეტაპზე ინტერვენციების ეფექტიანობის გასაზომად განვახორციელე ფოკუსირებული დაკვირვება. ჩატარებულმა ტესტირებამ უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ეს კვლევის დაწყებისას იყო. დაიწერა შედარებით მაღალი ქულები, გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია.

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები.



ინტერვენციის შედეგები

- მოსწავლეებმა შეაფასეს თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.
- მათ გააანალიზეს, რომ კითხვა ხელს უწყობს სააზროვნო უნარების განვითარებას.
- მოსწავლეებში ინტერესი გამოიწვია მხატვრული ლიტერატურის კითხვამ.
- გაწაფული კითხვა დაეხმარა მოსწავლეებს არა მხოლოდ ქართულ ენასა და ლიტერატურაში წარმატების მისაღწევაში, არამედ სხვა საგნების უკეთ სწავლაშიც.
- მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი აქტივობების ჩართვამ ხელი შეუწყო მოსწავლის დაინტერესებას, ჩართულობას და მოტივაციის გაზრდას, რაც შედეგებზეც აისახა.
- მშობლების დაინტერესებამ და ჩართულობამ სასწავლო პროცესში გაზარდა შვილების მოტივაცია. ისინი გახდნენ უფრო წარმატებულნი.
- კოლეგებთან თანამშრომლობა დამეხმარა სამუშაო პროცესში.

რეკომენდაციები

პრაქტიკული კვლევის დროს პრობლემის იდენტიფიცირების, სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის, დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციებით

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემდეგი მიგნებების გამოკვეთაა შესაძლებელი.

- კარგ, მოაზროვნე მკითხველად ჩამოყალიბებისათვის, რომლის თანმდევი პროცესიცაა გაგება-გააზრება, აუცილებელია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება.
- საჭიროა, მოვახდინოთ მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი და შეფასება.
- სწავლება მორგებული უნდა იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.
- წიგნიერების აუცილებლობა უნდა იგრძნობოდეს სახლსა თუ სკოლაში.
- აუცილებელია კოლეგებთან თანამშრომლობა და უკუკავშირი.
- მოსწავლემ აუცილებლად უნდა იკითხოს თავისი ასაკის შესაფერისი ლიტერატურა.

დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა მასწავლებლისგან მოითხოვს დიდ დაკვირვებას, ცოდნასა და პროფესიული უნარების ფლობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის სასწავლო პროცესის მიმართ დამოკიდებულება პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და განწყობაზე, ასევე მათ შედეგებზე.

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებისკენ და ითვალისწინებდა მათ უფრო მეტი ხარისხით ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგები აჩვენა. განხორციელებული ინტერვენციებით შევძელი მოსწავლეებში ინტერესის აღძვრა, მათი გააქტიურება, გაიზარდა მათი პასუხისმგებლობის გრძნობა. მშობლების მხრიდანაც ამას მოჰყვა დაინტერესება. შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარება შემდგომ მუშაობაში.

კვლევით მიღებულ გამოცდილებას გავუზიარებ კოლეგებს, რაც მათ დაეხმარება მსგავსი კვლევების განხორციელებასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

პრაქტიკული კვლევის ჩატარების გრაფიკი

სამოქმედო კვლევის ეტაპები	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი.	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი თემის შერჩევა, პრობლემის გამოკვეთა, დიაგნოსტირება-პრეტესტი	✓								
ლიტერატურის მიმოხილვა	✓								
პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების ჩამოყალიბება		✓							
კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა			✓						
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი				✓					
დასკვნა და მიგნებები					✓				
ინტერვენციების დაგეგმვა/შემუშავება						✓			
ინტერვენციების განხორციელება						✓	✓	✓	
ინტერვენციების შეფასება, შედეგების განსაზღვრა								✓	
დიაგნოსტიკური ტესტირება-პოსტტესტი									✓

სამოქმედო კვლევის ანგარიშის მომზადება									✓
საკვლევი თემის პრეზენტაცია									✓

დანართები

დანართი 1

კითხვარი მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით!

ვატარებ კვლევას დაწყებითი კლასის მოსწავლეებში წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. თქვენი, როგორც მოსწავლის, მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ინფორმაცია ანონიმურია. წინასწარ გიხდით მადლობას მასში მონაწილეობისათვის.

1. მიყვარს თუ არა მხატვრული ლიტერატურის კითხვა?

- ა) კი
- ბ) არა

2. კითხვის დროს მიჭირს სიტყვების მნიშვნელობის გაგება?

- ა) კი
- ბ) არა

3. გაუგებარი სიტყვების გასაგებად

- ა) ვიყენებ ლექსიკონს
- ბ) ვცდილობ კონტექსტიდან მივხვდე მის მნიშვნელობას.
- გ) გული მიცრუვდება და კითხვას თავს ვანებებ.
- დ) უფროსებს ვთხოვ, ამიხსნან მისი მნიშვნელობა.

4. მიჭირს შინაარსის გაგება და

- ა) ვკითხულობ რამდენჯერმე
- ბ) უფროსებს ვთხოვ, ამიხსნან.

5. რა ჟანრის ნაწარმოები მოგწონს?

ა) ზღაპრები

ბ) სათავგადასავლო

გ) საინფორმაციო

6. ვკითხულობ

ა) სწრაფად

ბ) ნელა

გ) საშუალოდ

7. ვკითხულობ

ა) მასწავლებლის დავალებით

ბ) ჩემი სურვილით

გ) მშობლის რჩევით

დ) თანაკლასელების რჩევით

8. ვკითხულობ იმისთვის, რომ

ა) მაინტერესებს

ბ) იძულებით

9. რაში გეხმარება კითხვა?

ა) აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში

ბ) აზროვნების გაუმჯობესებაში

გ) გამოცდილების მიღებაში

10. ვის უზიარებ წაკითხულის შესახებ შენს აზრს?

ა) მასწავლებელს

ბ) თანატოლებს

გ) მშობლებს

დანართი 2

კითხვარი მშობლებისთვის

მოგესალმებით!

მოგახსენებთ, რომ ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას წაკითხულის გააზრებასთან არსებულ სირთულეებზე დაწყებითი კლასის მოსწავლეებში პრობლემების დასამლევად. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა კვლევაში მეტად მნიშვნელოვანია. ინფორმაცია ანონიმურია. წინასწარ გიხდით მადლობას მასში მონაწილეობისთვის.

1. ეხმარებით თუ არა თქვენს შვილს ქართული ენის გაკვეთილების მომზადების დროს?

ა) კი

ბ) არა

2. რა სიხშირით ეხმარებით?

ა) ყოველთვის

ბ) იშვიათად

3. რა უჭირს მას ტექსტის წაკითხვის დროს?

ა) სიტყვების მნიშვნელობის გაგება

ბ) აზრის გამოტანა

4. კითხულობს თუ არა დამატებით ლიტერატურას?

ა) კი

ბ) არა

5. წასაკითხად ვინ ურჩევს წიგნს?

ა) თქვენ

ბ) მასწავლებლის რჩევით

გ) თვითონ ირჩევს

6. ახერხებთ თუ არა შვილებისთვის წიგნების ყიდვას?

ა) კი

ბ) არა

7. დაგყავთ თუ არა იგი ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიაში?

ა) კი

ბ)არა

8.ესაუბრებით თუ არა მას წაკითხული წიგნის შესახებ?

ა)კი

ბ)არა

გ)იშვიათად

9.უკითხავთ თუ არა წიგნებს თქვენს შვილს?

ა)კი

ბ)არა

10.თქვენი აზრით რაში დაეხმარება კითხვა თქვენს შვილს?

ა)აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

ბ)აზროვნების განვითარებაში.

გ)ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებაში.

დანართი 3

კითხვარი მასწავლებლებისთვის

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას დაწყებით კლასებში წაკითხულის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით. თქვენი, როგორც მასწავლებლის მონაწილეობა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის ანონიმურია. წინასწარ გიხდით მადლობას მასში მონაწილეობისათვის.

1.რა სირთულეებს აწყდებით წაკითხულის გაგება -გააზრებასთან დაკავშირებით მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში?

2.რა სიხშირით კითხულობენ ისინი კლასგარეშე მხატვრულ ლიტერატურას?

ა)ხშირად კითხულობენ.

ბ)იშვიათად კითხულობენ.

დ)არ კითხულობენ.

ჰარის თუ არა სახელმძღვანელოები იმ პრინციპით შერჩეული, რომ მოსწავლეები გაუმკლავდნენ მას?

ა)კი.

ბ)არა.

ნ)ნაწილობრივ.

4. ხშირად იყენებთ თუ არა აქტივობებს ტექსტის გაგება-გააზრების ხელშეწყობის მიზნით?

ა)კი

ბ)არა

გ)ნაწილობრივ

5. გიზიარებენ თუ არა მოსწავლეები წაკითხულის შესახებ შთაბეჭდილებებს?

ა)კი

ბ)არა

გ)იშვიათად

6. როგორია მოსწავლეთა ჩართულობისა და აქტიურობის ხარისხი ტექსტის გაგება-გააზრების დროს?

ა)მაღალი

ბ)დაბალი

გ)საშუალო

7. როდის იგებენ ტექსტს კარგად მოსწავლეები?

ა)როცა თქვენ უკითხავთ

ბ)როცა დამოუკიდებლად კითხულობენ

8. გთხოვთ მოკლედ აღწეროთ როგორ აღწევთ წარმატებას ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემები დასაძლევად?

დანართი 4

სადიაგნოსტიკო პროექტი

ჭაბუა ამირეჯიბის „თაფლის წვეთი“

ჭიანჭველების ხელმწიფეს დაბადების დღე ჰქონდა. ფუტკრების დედოფალმა მისალოცად ელჩი გაუგზავნა.

ხელმწიფემ სტუმარი დიდი პატივით მიიღო, ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულითა და ხილ-ჩურჩხელით გაუმასპინძლდა, საუკეთესო ღვინოები ჯიხვის ყანწებით მიართვა,

ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უბოძა, ასი ჭიანჭველა საგზლით დაუტვირთა და, გზაში არაფერი გაუჭირდესო, სამეფოს საზღვრამდე ულვაშებდაწკეპილი მეომრები გააყოლა.

შეზარხოშებულმა ფუტკარმა გზად ჭიანჭველების იონჯის ყანები ნახა, იფიქრა, ცარიელმა რატომ ვიაროო, იონჯის ყანებს დააცხრა, თაფლი მოაგროვა და ისევ გზას გაუდგა.

საზღვარზე მივიდნენ. გამომშვიდობებისას ჭიანჭველებმა უთხრეს:

-ეგ თაფლი,ბატონო ელჩო, აქ დაგვიტოვე და ისე მიბრძანდიო!

ფუტკარს გაუკვირდა:

-თქვე კაი ხალხო, ათასნაირი შემწვარ-მოხრაკულითა და ხილ-ჩურჩხელით გამიმასპინძლდით, საუკეთესო ღვინოები ჯიხვის ყანწებით მომართვით, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი წელზე შემომარტყით, ასი ჭიანჭველა საგზლით დამიტვირთეთ და ეს ერთი წვეთი თაფლი რაღა ბედენაა, რომ გენანებათ და მატოვინებთო?

ჭიანჭველებმა მიუგეს:

-ის ჩვენი ნებით მოგართვით, ეგ კი დაუკითხავად მიგაქვს. გეთხოვა, სამას ჭიანჭველას თაფლით დაგისაპალნებდით და ძღვნად გაგატანდით. უნებართვოდ კი არც ერთ წვეთ თაფლს გაგატანთო!

ფუტკარმა იფიქრა, ფუტკარი მაინც არ ვიყო, ეს საჯაყი საქმე როგორ დამემართაო, თაფლი ჭიანჭველებს დაუბრუნა და დარცხვენილი შინისაკენ წავიდა.

1.ნაწარმოების მიხედვით, როგორები არიან ჭიანჭველები?

- ა) სამართლიანები და სტუმართმოყვარენი;
- ბ) ძუნწები და სტუმართმოყვარენი;
- გ) უსამართლოები და არა სტუმართმოყვარენი;

2. როგორია ჭიანჭველების ხელმწიფე?

- ა) ღარიბი და მკაცრი;
- ბ) სტუმართმოყვარე, მაგრამ უსამართლო;
- გ) სტუმართმოყვარე, მდიდარი, სამართლიანი;

3. რისთვის დააცხრა იონჯის ყანებს ფუტკარი?

- ა) ჭიანჭველების მეფეზე შურის საძიებლად;
- ბ) თაფლის მოსაგროვებლად;

გ) თავისი მეფისთვის ძღვენის ასაღებად;

4. რატომ არ გაატანეს ჭიანჭველებმა ფუტკარს თავლი?

ა) დაუკუთხავად მიჰქონდა;

ბ) ბევრის წაღება გადაწყვიტა და ჭიანჭველებს აღარაფერი რჩებოდათ;

გ) იფიქრეს, რომ კარგი მასპინძლობაც საკმარისი იყო;

5. რა არის „საგზალი“?

ა) სწრაფად დამზადებული სანოვაგე სტუმრის გადამასპინძლებლად;

ბ) სტუმრისთვის მისართმევი საჭმელ-სასმელი;

გ) სამგზავროდ წასაღები საჭმელ-სასმელი;

6. „შეზარხომებული“ ანუ:

ა) შემთვრალი

ბ) იმედგაცრუებული

გ) გამხიარულებული

7. რას ნიშნავს „საჯაყი“?

ა) შესაქები

ბ) საამაყო

გ) შემარცხვენელი

8. რომელი კავშირი იგულისხმება დეფისის ნაცვლად სიტყვებში:

შემწვარ-მოხრაკული, ხილ-ჩურჩხელით,ქამარ-ხამჯლით

ა) თუ

ბ) და

გ) მაგრამ

9. მოგწონთ თუ არა ფუტკრის ქმედება? რატომ?

10. მოგწონთ თუ არა ჭიანჭველების ქმედება? რატომ?

დანართი 5

სადიაგნოსტიკო პოსტტესტი

ატმის კურკის ამბავი

მთელი ზაფხულის განმავლობაში აგროვებდა ატმის კურკებს ირაკლი. ყოველდღე პატარა გოდორს ერთ მუჭა კურკას ამატებდა. სადილობისას ბიჭი თვალის ერთი გადავლებით დაითვლიდა სუფრასთან მოტანილ ახალ-ახალ ატამს და სიხარულით ცას ეწეოდა.

დიდება დანით ატამს თლიდა, კურკას კი გოდორში აგდებდა.

-ნეტავ რას მაწვალე ამ დროულ დედაკაცს? აბა, რად გინდა ეს კურკები?-წუწუნებდა ხოლმე დიდება.

-თბილისის გარშემო ხეხილის ბალები უნდა გააშენონ და სათესლედ ვაგროვებთ. კლასის დამრიგებელმა დაგვაგვალა, -უხსნიდა ბიჭი და ამაყად გადახედავდა ხოლმე თავის გოდორს. გოდორი კურკით ივსებოდა, პატარა ბიჭის გული კი-სიხარულით.

დიდებამ, როგორც იყო, გაიმეტა და ჭრელი ხურჯინი ათხოვა ირაკლის. თან თავისი სული და გული გამოატანა, აბა, შენ იცი, ხურჯინი არ დამიკარგო.

ლამაზი ხურჯინით ჩამოიტანა კურკები ირაკლიმ ქალაქში. ხურჯინის დანახვაზე მთელი ეზო ახმაურდა. განსაკუთრებით ლადო დაფაცურდა. ეზოს კარშივე მიეგება, თვითონვე შემოიგდო მხარზე და აივანზე აიტანა, რამდენჯერმე ხელის კვრით მოსინჯა მძიმე ტვირთი.

-ბლომად კაკალი ჩამოგიტანია!

-ატმის კურკაა. განა შენ არ შეაგროვე?

ლადოს ელდა ეცა, ახლავა გაახსენდა მასწავლებლის დავალება. მან კი მთელი ზაფხული ჩიტების დევნასა და თევზაობაში გაატარა.

-მე რატომ არ გამახსენდა? ამან როგორ უნდა მაჯობოს?-ფიქრობდა ლადო. როცა ეზოში შუქი ჩააქრეს, ლადო კატასავით აცოცდა ირაკლის აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა.

მეორე დილით სკოლისაკენ ერთად გასწიეს. ლადო ყველანაირად ცდილობდა ირაკლის გულის მონადირებას, ხან წინიდან მოურბენდა, ხან ხურჯინის თვალს ააწევინებდა. ხითხითს ვერ იკავებდა და ხურჯინწამოკიდებულ ამხანაგს მიაკუნტრუშებდა სკოლისაკენ.

სკოლის ეზოში ერთი ალიაქოთი გამოიწვია ჭრელი ხურჯინის გამოჩენამ.

-ყოჩაღ! დავალების შესრულებაც ამას ჰქვია!-აღფრთოვანებას ვერავინ მალავდა.

ამდენი ქებით დარცხვენილ ირაკლის თავი ჩაელუნა. მასწავლებელმა გახსნა ხურჯინი და სახტად დარჩა. ხურჯინიდან კენჭები წამოცვივდა. ირაკლი შემკრთალი და გაკვირვებული დასცქეროდა ხან იატაკს, ხან ხურჯინს. ყელში ტირილი ებჯინებოდა, თვალები ცრემლით ევსებოდა.

-აი, ლადომ იცის, რომ ...-სიტყვა ვედარ დაასრულა.

ლადო გაფითრდა, დაიბნა:

-ირაკლი არაა დამნაშავე, ალბათ სოფელში იეშმაკა ვინმემ.

-იქნებ აქ იეშმაკა ვინმემ?-იკითხა მასწავლებელმა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. ლადო დასვენებაზე იდგა და ატმის კურკის სასტვენით უკრავდა. ყველანი ეხვეწებოდნენ გაგვიკეთეო. ის ჰპირდებოდა მათ, გაგვიკეთებო, მაგრამ არავისთვის იწუხებდა თავს.

-ირაკლი, როგორ ფიქრობ, ის ოინი ვინ მოგიწყო?-დაეჭვებით ჰკითხა ბიქს მასწავლებელმა.

-ეჭვი მეც შემეპარა, მაგრამ უსაბუთოდ ხომ ვერავის დავაბრალებ?-უპასუხა ირაკლიმ.

სადამოს ირაკლი და ლადო ერთად გამოვიდნენ თეატრიდან. უამრავ ხალხში ერთმანეთი დაკარგეს. ქუჩის გადასასვლელზე ირაკლის ჯერ სასტვენის ნაცნობი სტვენა მოესმა, შემდეგ კი- ხალხის ჩოჩქოლი. ახლოს რომ მივიდა, დაინახა, რომ პატრულს ხელი ჩაეველო ლადოსთვის და მკაცრად ეუბნებოდა:

-ქუჩაში უნებართვოდ სტვენა რომ ატეხე, ტრანსპორტი გაჩერდა და მოძრაობა შეფერხდა!

-გეხვეწებით, მაპატიეთ!-ემუდარებოდა ლადო.

პატრულს ირაკლი მიუახლოვდა და სთხოვა:

-გთხოვთ, აპატიოთ, პირველი შემთხვევაა.

-ირაკლი, მიშველე!-წამოიძახა ლადომ.

პატრულმა ბიჭი გაუშვა.

იმ ღამეს ლადომ ლოგინში დიდხანს იწრიალა, ვერ მოისვენა, მერე ადგა, ჩუმად აძვრა აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა...

დილით ირაკლიმ კურკებით სავსე ხურჯინს მოჰკრა თვალი და დარცხვენილი ლადოც დაინახა.

-სულ ჩემი ოინებია, მაპატიე, -შეევედრა ამხანაგს.

ირაკლის ჯერ ბრაზი მოაწვა, შემდეგ კი გაუღიმა და უთხრა: -აბა, მოიკიდე ხურჯინი და წამოილე სკოლაში.

1. რატომ აგროვებდა ირაკლი კურკებს?

ა) აინტერესებდა, რამდენი კურკა დაემატებოდა გოდორს.

ბ) მოსწონდა ატმების დაფცქენაში დიდებას დახმარება.

გ) ძალიან უყვარდა ახალ-ახალი ატმების გაფცქენა და ჭამა.

2. დიდდამ ირაკლის ხურჯინი რომ ათხოვა, თან „სული და გული გამოატანა“. რაზე მიანიშნებს ხაზგასმული ფრაზა?

ა) ეშინოდა, რომ ბიჭს არ დაეკარგა მისი საყვარელი ზურჯინი.

ბ) ფიქრობდა, რომ კურკების ჩაყრით ხურჯინი გაცვდებოდა.

გ) წუხდა, რომ ქალაქიდან ხურჯინს უკან აღარ დაუბრუნებდნენ.

3. რატომ ეცა ელდა ლადოს, როდესაც გაიგო, რა იყო ხურჯინში?

ა) ეწყინა, ირაკლიმ კურკები რომ ჩამოიტანა და არა კაკალი.

ბ) ინანა, რომ კურკით სავსე ხურჯინის წამოღებაზე მოსცდა.

გ) შეწუხდა, რომ ირაკლიმ დავალება შეასრულა, მან კი-არა.

4. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში: „ლადო კატასავით აცოცდა აივანზე და ხურჯინი ჩამოხსნა.“

ა) გაპიროვნება

ბ) ეპითეტი

გ) შედარება

5. იმისათვის, რომ შეენიღბა თავისი ბოროტი ოინი, ლადო ცდილობდა:

ა) ირაკლის გულის მონადირებას.

ბ) როგორმე ხითხითის შეკავებას.

გ) სკოლისკენ კუნტრუმით წასვლას.

6. რა თვისება გამოავლინა ირაკლიმ, როდესაც მას ყველა აქებდა?

ა) ამპარტავნება.

ბ)თავდაჯერებულობა.

გ)თავმდაბლობა.

7.მიუხედავად შეპირებისა, რატომ არ უკეთებდა ლადო თანატოლებს სასტვენს?

ა)არ სურდა, რომ თანაკლასელებს ვინმე შეეწუხებინათ სტვენით.

ბ)არ სურდა, რომ სხვების გამო შეეწუხებინა თავი.

გ)არ სურდა, რომ სხვებსაც მიეღოთ საყვედური სასტვენის სტვენის გამო.

8.რა თვისება გამოავლინა ირაკლიმ, როდესაც ლადოს გამოექომაგა პატრულთან?

ა)გამბედაობა.

ბ)გულუბრყვილობა.

გ)სამართლიანობა.

9.როდის იგრძნო ლადომ სინდისის ქენჯნა?

ა)როდესაც დაინახა, რომ ირაკლის თვალები ცრემლით ავესო.

ბ)როდესაც ირაკლი პატრულთან გამოექომაგა მას.

გ)როდესაც ხურჯინი გახსნეს და იქიდან კენჭები გადმოცვივდა.

10.რა არის ამ მოთხრობის უმთავრესი სათქმელი?

ა)ადამიანი ყოველთვის უნდა ასრულებდეს დავალებას.

ბ)ადამიანმა მიცემული პირობა უნდა შეასრულოს.

გ)ადამიანს არ უნდა სწყინდეს სხვისი წარმატება.

ბიბლიოგრაფია

პაპავა პ. ჭანტურია თ. 2012 წიგნიერება (მასწავლებლის სახელმძღვანელო).თბილისი: მწიგნობარი“;

<http://cdi.org.ge/uploads/pages/189517421wignierebaavtorebipaatapapavatamarchanturia-40.pdf>

ვებ პორტალი „კარგი სკოლა“-<http://kargiskola.ge>;

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhalisastssavlo-gegmebi-2017-2023>

„კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“ (I-VI)-<http://bit.ly/2nYZoNT>

სამსონია ი. 2013 წიგნიერება(მასწავლებლის სახელმძღვანელო).თბილისი: „მწიგნობარი“;

<http://cdi.org.ge/uploads/pages/maswsamsonia-89.pdf>

გორგოძე ს, ბოჭორიშვილი მ. 2013 „ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება“.თბილისი:სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი;

<http://cdi.org.ge/uploads/pages/da-vaswavlot-kritikuli-azrovneba-51>

პაპავაპ.ნაცვლიშვილინ.„კითხვისეფექტურიმეთოდები.“
<http://old.tpdg.ge/images/stories/gzamkvlevi.pdf?fbclid=IwAR3kQSdc4VSUS6pSI7w1EsVqVxQTu7VkfOp4Kgzh2uwVNl84lScIuhImxEU>

ფირჩხაძემ.„მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების პრაქტიკული ასპექტები“
<http://mastsavlebeli.ge/?p=10921>

რეფლექსია

აღბათ ყველა მასწავლებელი დამდგარა იმ პრობლემის წინაშე, რომ მის მოსწავლეებს უჭირთ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება, აქვთ დაბალი მოტივაცია და, შესაბამისად, ვერ აღწევენ ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ სტანდარტს. ამ სირთულის წინაშე მეც აღმოვჩნდი. გადავწყვიტე, ჩამეტარებინა კვლევა, გამეგო, გაგება-გააზრების, როგორც პრობლემის, გამომწვევი მიზეზები და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განმეხორციელებინა შესაბამისი ინტერვენციები. გამოიკვეთა უამრავი მიზეზი, რომელთაგან გამოვყოფდი:

- გაწაფულ კითხვასთან დაკავშირებულ სირთულეს;
- ლექსიკური მარაგის სიმწირეს;
- დაბალ მოტივაციას;
- მშობლების არასაკმარის ჩართულობას;
- კითხვას გააზრების გარეშე;

მე-5 კლასში გამოიკვეთა ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემები, კონკრეტულად ის, რომ მოსწავლეების უმეტესობას უჭირს გაბმული კითხვა, ვერ იგებს სიტყვების მნიშვნელობას, ვერ გამოაქვს წაკითხულიდან აზრი, შესაბამისად, უჭირს გააზრება, მსჯელობა.

საკვლევი თემის გამოკვეთის შემდეგ გავეცანი შესაბამის პროფესიულ ლიტერატურას, რაც დამეხმარა უკეთ გავრკვეულიყავი საკვლევ საკითხში. გამოკვეთე პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. საკვლევ თემასთან დაკავშირებით მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და მასწავლებლებთან შედგენილი კითხვარებით გავაკეთე ანკეტირება. სადიაგნოსტიკო ტესტით შევამოწმე და დავადგინე, როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს მხატვრული ტექსტის გააზრება, ხოლო ინტერვენციების შემდეგ კიდევ გავიმეორე მსგავსი ტესტირება. ამით დავადგინე, ჰქონდათ თუ არა ბავშვებს პროგრესი. მშობლებთან ტესტირების მიზანი იყო, დამედგინა, რამდენად ხშირად საუბრობენ ისინი შვილებთან წაკითხული წიგნების შესახებ, ურჩევენ თუ არა წიგნის კითხვას, აქვთ თუ არა სახლში შვილების ასაკისთვის შესაფერისი ლიტერატურა. მასწავლებლებთან ანკეტირებამ საშუალება მომცა, გამეგო, ჰქონდათ თუ არა მათ მსგავსი პრობლემები მოსწავლეებთან, იყენებდნენ თუ არა მრავალფეროვან აქტივობებსა და მეთოდებს მათთან მუშაობისას.

დავგეგმე ინტერვენციები და შევუდექი მის განხორციელებას. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაკვირვებამ აჩვენა, რომ გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები გაგება-გააზრებაში, გაიზარდა მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რიცხვი, 3 კვირაში ერთხელ ვმსჯელობდით წაკითხული წიგნის შესახებ. მოსწავლეები ხალისით უყვებოდნენ ერთმანეთს გმირების ამბებს და მსჯელობდნენ მნიშვნელოვან საკითხებზე, აკეთებდნენ პრეზენტაციებს. ერთგვარი შეჯიბრიც გაჩაღდა, ვინ მეტი წიგნი წაიკითხა. ამ საკითხში ჩაერთვნენ მშობლებიც, რომლებიც ჩემთან ერთად ურჩევდნენ შვილებს, რა წაეკითხათ.

ჩატარებული კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ რა კუთხით უნდა ვიმუშაოთ მოსწავლეებთან გაგება-გააზრების უნარის განსავითარებლად:

- გაკვეთილზე უნდა გამოვიყენო რაც შეიძლება ბევრი სხვადასხვაგვარი აქტივობა და შესაფერისი მეთოდი.
- მოსწავლეებს ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი დახმარება უნდა გავუწიო და ხშირად მივცე მკაფიო უკუკავშირი.
- მხატვრული ტექსტების კითხვა სავალდებულო უნდა გავხადო და დავალების ერთ-ერთ ნაწილად ვაქციო.

ჩემი აზრით, აღნიშნული კვლევა მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი მოსწავლეებისთვის. ვფიქრობ, კვლევა და მისი შედეგები მე დამეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებაში, ხოლო ჩემს მოსწავლეებს- მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევაში.

აღნიშნული კვლევა წარვუდგინე მასწავლებლებს, გავუზიარე ჩემი გამოცდილება, რაც მათ ანალოგიური კვლევების ჩატარებაში დაეხმარება.

